

## ქრისტიანული ტერმინოლოგიის დამკვიდრების გზები მეგრული მესაქონლეობის საკულტო ლექსიკაში

მესაქონლეობა სამეგრელოსთვის უმნიშვნელოვანესი სამეურნეო დარგი იყო. შესაბამისად, მეგრელებში მყარად იყო გამჯდარი მასთან დაკავშირებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები თუ ქმედებანი, რამაც ასახვა ჰპოვა ლექსიკაში.

ჩვენს ხელთაა მეგრული დიალექტის მესაქონლეობის საკულტო და რიტუალური ლექსიკის 50-მდე ერთეული, რომელიც მეგრელთა რწმენა-წარმოდგენების ჩამოყალიბებისა და განვითარების რამდენიმე შრეს შეიცავს.

ტერმინთა ნაწილი სათავეს წარმართული ეპოქიდან იღებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჯგუფში გაერთიანებულ ლექსიკურ ერთეულებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საკუთრივ მეგრული წარმოშობა ეტყობა. ტერმინები წარმოდგენილია მარტივი ფუძეებით, დერივატებით, კომპოზიტებით, სინტაგმებით.

საკუთრივ დღესასწაულის აღმნიშვნელი ფორმები ძირითადად **-ობა** სუფიქსითაა გაფორმებული: **ბორსობა** „დღესასწაული დიდმარხვამდე 17 დღით ადრე“ (ყიფშიძე 1914: 206), „საქონლის მფარველი ღვთაების სალოცავი“. შდრ. ქართული **ბოსლობა** || **ბოსრობა** (აბაკელია 1991: 57-59). **ისკიოდობა** „საკულტო რიტუალი, დაკავშირებული საქონლის გამრავლებასთან“ (მაკალათია 1941: 329); **კაპუნობა** „წარმართული ღვთაების კაპუნას დღესასწაული“ (ყიფშიძე 1914, 252). კაპუნა ითვლებოდა მესაქონლეობის მფარველ

ღვთაებად; **მირსობა** || **ნირსობა** „წარმართული სალოცავი, სწირავდნენ ღორს“ (ციფშიძე 1914: 281; მაკალათია 1941: 301).

ხშირად სინტაგმით წარმოდგენილ ტერმინოლოგიურ შესიტყვებაში საზღვრულად გვხვდება ქართული ლოცვის ლექსიკური ფარდი **ხვამა**, ან მისგან ნაწარმოები მომავალი დროის მიმღეობა **ოხვამერი**: **ჟინიშიშ ხვამა** „ჟინი ანთარის სალოცავი“ (მაკალათია 1979: 80); **ნერჩიშ ხვამა** „ფუძის დალოცვა“ (ციფშიძე 1914: 288); **თუთაშხა გითოხვამა** „მესაქონლეობის მფარველი ღვთაების დღესასწაული“ (მაკალათია 1979: 64), ზედმ. „ორშაბათის გამოლოცვა“; **თუშ ოხვამერი** „გოჭით სალოცავი, სრულდებოდა ახალი წლის პირველ ორშაბათს“ (აბაკელია 1991: 55). ჩვენს მიერ მოძიებული მასალის მიხედვით მშობლების ოჯახში ულოცავდნენ ახლადმოლოგინებულ ქალს (ფახულანი): **დიდი ოხვამერი** „დიდი სალოცავი“ (აბაკელია 1991: 55). ხშირად ამ სახის ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში საზღვრული ჩავარდნილია: **ოხვამერი** „დოლის პირველი მამალი ბატკანი“ (ჯვ.), იგულისხმება **ოხვამერი კირიბი** „სალოცავი (შესაწირავი) კრავი“; **ოხვამური** „ხატისათვის შესაწირავი საქონელი (მარტვ., ხობი) < \***ოხვამური საქონელი** „სალოცავი საქონელი“. ხშირად სინტაგმაში მსაზღვრელად გვაქვს „ბატონის“ შესატყვისი მეგრული **პატონ**-იდან ნაწარმოები **პატენია**: **პატენია ჩხოუ**, **პატენია გინი** „ხატისთვის მიჩნეული, ხატისთვის განკუთვნილი ძროხა, ხბო“. ასეთ საქონელს ადრევე ჩამოაჭრიდნენ ყურს ნიშნად იმისა, რომ შეწირული იყო სამსხვერპლოდ.

სამსხვერპლო, ხატისთვის შესაწირავი საქონლის აღსანიშნავად მეგრული იყენებს მიმღეობებს: **გალუაფარი**

„შემოსავლები“ (სენაკი), **გიოცვილაფარი** „საკლავი“ (ელიავა 1997: 90), ზედმ. „ზედ დასაკლავი“; **დოდგიმირი** (მაკალათია 1941: 301), ზედმ. „დადგმული“. თურმე კაპუნასთავის შეწირულ ღორებს შიგ მუხაში შედგამდნენ. იმავე მნიშვნელობისაა კომპოზიტი **ოთხბორკამი** || **ოთხკუხჩამი**, რომელიც ზედმიწევნით „ოთხბარკლიანს, ოთხფეხიანს“ ნიშნავს. საინტერესოა, რომ ეს ორი სიტყვა ზოგადად ოთხფეხის, საქონლის მნიშვნელობით იშვიათად გამოიყენება. უმეტესად მათ საკულტო დატვირთვა აქვთ. ალბათ, ამიტომ აღნიშნავს ი. ქერქაძე, რომ ქართული **ოთხფეხ**-ისა და სვანური **ჟოთხმავალ** (ლშხ.), **ჟომთხულგჳიშხ**-ის შესატყვისი კომპოზიტური ფუძე ზანურში არ ჩანსო“ (ქერქაძე 1974: 7).

საინტერესოდ გვესახება მესაქონლეობის წარმართული ღვთაების, უფრო ზუსტად, „ღვთაებრივი წყვილის“ სახელწოდების ტრანსფორმაცია. ჯერ კიდევ ი. ყიფშიძე მიუთითებდა, რომ ორთა ორი ღვთაების სახელია: **ჟინიში ორთა** „ზეციური ღვთაება, წარმართული ღვთაება ნაყოფიერებისა და საქონლის გამრავლებისა“, **გალენიში ორთა** „საქონლის მფარველი ღვთაება“ (ყიფშიძე 1914: 294). ხშირად საზღვრული **ორთა**, რომელიც **ანთარ**-ის ფონეტიკური სახეცვლილებაა, ჩავარდნილია და ტერმინი წარმოდგენილია მხოლოდ ნანათესაობითარი ფორმით: **გალენიში**, **ჟინიში** (შდრ. **გალენიშიშ ოხვამალი** „გალენიშის სალოცავი“, **ჟინიშიშ ხვამა** „ჟინიშის ლოცვა“).

წარმართული სემანტიკით დატვირთული ფორმების გვერდით, მეგრულ მესაქონლეობის საკულტო და სარიტუალო ლექსიკაში გვხვდება დღევანდელი გაგებით

ქრისტიანული ტერმინები, რომლებიც, ჩანს, რომ შინაარსობრივად და ლექსიკურად წარმართული რწმენა-წარმოდგენებით იკვებებიან: კომპოზიტი **ხოზოკვარი**, რომელიც „წარმართული გალენიშის სალოცავი რიტუალური კვერი იყო“ (ყიფშიძე 1914: 405), ქრისტიანული წესების დამკვიდრების კვალობაზე ყველიერის დროს შესაწირავი გამხდარა (მაკალათია 1941: 309), აგრეთვე **ცქებზი** „ჟინიშის შესაწირავი ყველი“ (ყიფშიძე 1914: 371), შემდეგ ყველიერისთვის შენახული ყველის სემანტიკით დაიტვირთა (ხოზი).

მესაქონლეობის საკულტო და სარიტუალო ქრისტიანული ტერმინების ჯგუფი მეგრულში ქართულიდანაა დამკვიდრებული. მათ ნაწილს, მეგრულში შეთვისების შემდეგ, ფონეტიკური და შინაარსობრივი ადაპტაცია განუცდია, ნაწილი კი უცვლელადაა დაცული.

ეთნოგრაფთა მითითებით და ველზე მოპოვებული მასალის მიხედვით, მეგრელები განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ წმ. მთავარანგელოზთა წყვილს – მიქაელს და გაბრიელს, მეგრულად **მიქამგარიო** || **მიქანგარიო**-ს. აქვე შევნიშნავთ, რომ ერთ ლექსემად ქცეული სახელი ზოგჯერ ერთ ღვთაებად აღიქმება. მისადმი მიძღვნილი დღესასწაული რამდენჯერმე აღინიშნებოდა, მაგრამ განსაკუთრებული იყო კვირაცხოვლობის შემდგომი ორშაბათი, ხეთის მთავარანგელოზთა ეკლესიის ტაძრის დღესასწაული. იგივე ლექსემა გვხვდება ფონეტიკურად ტრანსფორმირებული **ერგე**-ს სახით (სახოკია 1985: 369), შდრ. აფხ. **ერგე-აშვა** „ერგეს, მიქელგაბრიელის სიმღერა“, **ერგე-ძაშრა** „მიქელ-გაბრიელის ტანის საბანი ტბა“ (იქვე 370, 375).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ერგე** წმ. გიორგის მეგრული შესატყვისის **ჯგაგე** || **ჯერგე** || **ჯაგე** || **გაგე**-ს ფონეტიკური ვარიანტია (აბაკელია 1999: 296).

მიქელ-გაბრიელისადმი მიძღვნილი დღესასწაული იყო **მიქამგარიოშ გითოხვამა** (მაკალათია 1979: 64), ზედმ. „მიქელ-გაბრიელის გამოლოცვა“, აგრეთვე **სამგარიო** „სამიქელგაბრიელო სალოცავი“ (ყიფშიძე 1914: 315).

ქართულმა მიქელ-გაბრიელმა მეგრულში **მიქამგარიო** || **მიქანგარიო** ფორმა მიიღო, მაგრამ ლოცვის დროს ყოველთვის **მიქელგაბრიელ მთავარანგელოზი** მოიხსენიება და არა მიქამგარიო.

მესაქონლეობის მფარველად ითვლებოდა მთავარანგელოზიც, რომელმაც მეგრულში სესხების შემდგომი ტრანსფორმაციით მიიღო **თარანგიოზ** ფორმა.

სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ წმ. თეოდორე ტირონს, როგორც მეცხენეობის მფარველ წმინდანს და დიდმარხვის პირველ შაბათს, იმ დღეს, როცა მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს წმ. თეოდორეს მიერ იერუსალიმში აღსრულებულ სასწაულს, ადავლენდნენ მისადმი მიძღვნილ სალოცავს. ეს დღესასწაული ცნობილია **თევდორობა**, **თედორობა** (ლექხ., რაჭ.), **ლითოდრი** (სვან.), **თერდობა** (მეგრ.) სახელით (აბაკელია 1991: 80).

განსაკუთრებული და ძალზე მნიშვნელოვანი თემაა წმ. გიორგის კულტი მესაქონლეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებში. მისი მეგრული სახელწოდების **ჯგაგე** || **ჯერგე** || **ჯაგე** || **გაგე** ეტიმოლოგიურმა კვლევამ არაერთ მოსაზრებას დაუდო საფუძველი.

ვვარაუდობთ, რომ ამ შემთხვევაშიც იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაზეც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა. რომელიღაცა წარმართულმა ღვთაებამ, ქრისტიანული სემანტიკით დატვირთვის შემდეგ, ქართული სახელი მიიღო: **წინდა** (< წმინდა) **გიორგი**, **შდრ. წინდა სოლომო მარდიანი**, **წინდა ელია**.

ეს ის სიტყვებია, რომლებმაც მეგრულში, სესხების შემდეგ, ფონეტიკური ცვლილებები განიცადა. მათ გვერდით გვაქვს ისეთი ფორმები, რომლებიც უცვლელად შეითვისა მეგრულმა: **აზარა** „მეჯოგეების წესი, დაზარალებულის შესაწევნად გამართული წვეულება“ (მაკალათია 1941: 193); **დაპირებული** || **დანაპირები** || **დანაპირი** „ხატისთვის შესაწირი, დანაპირი საქონელი“ (ჭარაია 1997: 58; ჯვ., წალენჯ., ზუგდ.); **ზვარაკი** || **ზვარაკია** „სამსხვერპლო საქონელი, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად შეწირული“ (ყიფშიძე 1914: 236), **შდრ. ზვარა** „შეწირული“, **ზვარაკი** „ნასუქალი“ (საბა 1991: 287), აგრეთვე, კახური **ზვარა** გუდამაყრულ-მთიულური **ზორა**, **ბერ-ზორა** (ლეონიძე 1925: 24).

ქართულიდან მეგრულში დამკვიდრებული ფუძეები ფონეტიკურად ადაპტირებულია, მაგრამ ბევრ მათგანს დართული აქვს არა მეგრული, არამედ საკუთრივ ქართული აფიქსები: **სა-მგარი-ო** „სამიქელგაბრიელო სალოცავი“, **სა-ღმრთ-ო** **სა-ოხორ-ო** „სახლის სალოცავი“, **სა-ქირს-ო** || **სა-ქირს-ო ღვეჯი** „საშობაო ღორი“, **სა-ზვარაკ-ო** || **სა-ზვარ-ო** „ხატისთვის შესაწირავი საქონელი“. ამ ჯგუფის სახელთაგან განსხვავებით, წარმართული ტერმინოლოგია მეგრულ წარმოებას ინარჩუნებს: **ო-კაპუნ-ე** „კაპუნასთვის შერჩეული

ლორი“ (ყიფშიძე 1914: 252), **ო-მირს-ე** „მირსასთვის შეწირული ღორი“ (იქვე, 281), **ო-ხეხუნჯ-ე** „ხეხუნჯობის დღესასწაულზე შესაწირავი საქონელი“ (იქვე, 409). ამ უკანასკნელ ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს **ოთაშხირი**, **ოცაშხურე**, **ოჯუმაშხური**. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დღეს მეგრელთა წარმოდგენებში ქრისტიანულ წმინდანებთან თუ დღესასწაულებთანაა დაკავშირებული, მათი ფესვები წარმართულ ეპოქაში უნდა ვეძებოთ.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება ატრიბუტული სინტაგმის **ოდუდია სამგარიო**-ს აფიქსაციის საკითხი. ორივე წევრი დანიშნულების სახელითაა წარმოდგენილი, მაგრამ მეგრული ძირიდან ნაწარმოებმა ფორმამ (**ო-დუდ-ია**) აფიქსიც მეგრული დაირთო – ქართული **სა-ს** ბადალი მეგრული **ო-**, ხოლო ქართულიდან შეთვისებულ ფორმაში, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მეგრულადაა ადაპტირებული (**მიქელ-გაბრიელი** > **მიქამგარიო**), მაინც ქართული **სა-ო** ცირკუმფიქსი გაჩნდა.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ აფიქსთა ასეთი განაწილება მეგრულში უგამონაკლისოდ ხდება. უბრალოდ, ვაფიქსირებთ, რომ მესაქონლეობის საკულტო ლექსიკაში ეს წესია გატარებული.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ღვთისმსახურების ენა სამეგრელოში (resp. ეგრისში, ანუ კოლხეთში), ისევე როგორც მთელ საქართველოში, ქართული იყო.

ძალზე საინტერესოდ გვესახება წარმოდგენილი ლექსიკის შედარება შესაბამის აფხაზურ მასალასთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ბერძნული წარმოშობის ქრისტიანული ტერმინები აფხაზურ ენას ნასესხები აქვს არა უშუალოდ ბერძნული ენიდან, არამედ მთლიანად არის შეთვისებული ან ქართულისაგან, ან კოლხური ენის მეგრული დიალექტისაგან“ (გვანცელაძე 1996: 76). თ გვანცელაძის ნაშრომში, სხვა ტერმინთა გვერდით, წარმოდგენილია მეგრულიდან აფხაზურში შეთვისებული **ა-მქამგარია** „ძროხის მფარველი ღვთაება“, ამოსავალია მეგრული **მიქამგარიო**, **ა-სემგარია** „ზაქის მოგების კვირისთავზე ფურკამეჩისთვის გამოლოცვის რიტუალი“, მომდინარეობს მეგრული **სამგარიო**-დან, იმავე სემანტიკის მქონე **ა-სქამგარია**, რომლის ამოსავალი უნდა იყოს **მიქამგარიო**-დან ნაწარმოები \***სა-მიქამგარიო**, რომელიც მეგრულში აღარ გვხვდება, მაგრამ უ. შარდენთან შემონახულია ტერმინი **სამიქანგარა**, რომელიც, როგორც ჩანს, სავარაუდო ფორმის დამახინჯებული ვარიანტია.

ჩვენი მხრიდან, მეცნიერის ნათქვამს გვსურს დავძინოთ, რომ გამონაკლისს (ქართულ-მეგრულიდან შეთვისებისა) არც წარმართული ლექსიკა წარმოადგენს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს: აფხაზური **ა-ხ<sup>ა</sup>ჟ<sup>ა</sup>** „კონუსისებრი კვერი, რომელსაც სპეციალურად მსხვერპლშეწირვისათვის, ან ყველიერის თავზე აკეთებდნენ“ (ჯანაშია 1954, 419); მიღებულია მეგრული **ხოზო**-საგან აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათსესხების ფონეტიკური წესების სრული დაცვით, კერძოდ, **ო** ხმოვანი დაშლილია **ჟა** კომპლექსად. თვით მეგრული **ხოზო** კ. ჭარაიას მიაჩნია ქართული **ღვეზელ**-ის (ძვ. ქართ. **ვჟეზა** „მრგვალი პური“



(საბა 1993: 446) ფონეტიკურ სახეცვლილებად (ჭარაია 1912: 15). იმავეს ვიტყვით კომპოზიტზე **ხოზოკვარი** „სამსხვერპლო კვერი“ რომელმაც, აფხაზურში შეთვისების შემდეგ, **ა-ხაჟკვარ** ფორმა მიიღო (კვარჭია 1981: 49). აფხაზური **ა-კვარ**-ისთვის ძველ ქართულში გვექონდა **კვერ-**ფუძის რედუქციაციით მიღებული კომპოზიტი **კვეკვერა** „მრგვალი ნამცხვარი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1999: 181), ხოლო იმერულ დიალექტში არის **კოკორი**.

საერთო ბუნებას და ლექსიკურ მსგავსებას ამჟღავნებს მეგრული **ანთარი** (ყიფშიძე 1914: 194) და აფხაზური **აითარ** „მესაქონლეობის მფარველი ღვთაება“ (არშბა 1980: 12), თუმცა გაგვიჭირდება, დავეთანხმოთ აფხაზ მეცნიერს ვ. კვარჭიას, რომელიც აცხადებს, რომ აფხაზური თეონიმი შეითვისა მეგრულმა და ხევსურულმა დიალექტმა **ანთარ**-ისა და **ანატორ**-ის სახით (კვარჭია 1981: 118).

მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზური **ხეჩხვამა** „ახალწლის დღესასწაული“ (ჯანაშია 1954: 443), რომელსაც მეგრულში **ლეჯხვამა** ფორმა აქვს. კომპოზიტი შედგება ორი კომპონენტისაგან და ზედმიწევნით ნიშნავს „ღორით ლოცვას“.

დასასრულ, დავიმოწმებთ ს. მაკალათიას შენიშვნას „სამეგრელოში შელოცვების უმეტესი ნაწილი შემლოცავ დედაკაცებს დღეს არც კი ესმით, მხოლოდ ის იციან, რომელი შელოცვა რა ავადმყოფობას რგებს“ (მაკალათია 1941: 338). ჩვენი მხრიდან დავძენთ, ამ შელოცვებში გვხვდება ქართული კურთხევანიდან ამოღებული ლოცვის (წმ. სამების მოხსენიების, ღვთისმშობლის ეპითეტების, ასამაღლებლების) ფორმულები, რომელთა შინაარსი

ათეიზმის ბატონობის დროს მცხოვრები მართლმადიდებლური ღვთისმსახურების მადლს მოკლებული ადამიანებისათვის, რა თქმა უნდა, გაუგებარი იყო, მაგრამ ისინი, ტრადიციის გავლენით, მაინც ზუსტად აღასრულებდნენ მას. ამ ტრადიციას კი მრავალი საუკუნის ისტორია აქვს.

მითითებული ლიტერატურა:

აბაკელია 1991 – ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. დამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბილისი.

აბაკელია 1999 – ნ. აბაკელია, არქაული და რიტუალები სამეგრელოში. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში. არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები. თბილისი.

არშბა 1980 – Н. Аршба, Словарь животноводческих терминов. Абхазско- русский, русско-абхазский, Сухуми.

გვანცელაძე 1996 – თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით. ქართველური მემკვიდრეობა. I, ქუთაისი.

ელიავა 1997 – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. მარტვილი-თბილისი.

კვარჭია 1981 – В. Кварчия, Животноводческая (пастушеская) лексика в абхазском языке. Сухуми.

- ლენონიძე 1925 – ლ. ლენონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბილისი.
- მაკალათია 1945 – ს. მაკალათია, ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი.
- მაკალათია 1979 – მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში. მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიის შესწავლისათვის. თბილისი.
- საბა 1991-1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I- II, თბილისი.
- სახოკია 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი.
- ფენრიხი, სარჯველაძე 1990 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.
- ქერქაძე 1974 – ი. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი.
- ციფშიძე 1914 – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-Пб.
- ჭარაია 1912 – П. Чарая, Об отношении Абхазского языка к яфетическим. С- Пб.
- ჭარაია 1997 – ჰ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
- ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

MANANA BUKIA

## WAYS OF ESTABLISHING CHRISTIAN TERMINOLOGY IN THE MEGRELIAN CULTIC VOCABULARY OF CATTLE-BREEDING

Ritual and cultic vocabulary of cattle breeding presents an interesting way for the establishment of Christian terminology in Megrelian.

Certain part of this terminology is of the heathen origin. For instance: ghejkhvama (shrine for pigs) okhvameri chkhou (sacrifice cow).

Christian religion vocabulary has its particular place in the rites and beliefs related to cattle breeding: mikamgario (St. Michael and Gabriel Archangels); Tarangiozi (archangels).

Christian terminology in Megrelian is presented with Georgian affixations (sa-mgari-o „a shine for Michael and Gabriel), while the heathen vocabulary makes use of the Megrelian forms of derivation, e-g. O-kapun-e (a pig chosen: for kapunoba the ritual on Thursday before two weeks of the Lent) otsashkhure („a shrine for livestock“).

The fact that Christian vocabulary in Megrelian is represented with the Georgian word-formulation means provide the evidence that the language of Christian worship in Megrelia (resp. in colchis), like in any other part of Georgia, was the Georgian Literary language.

ქართველური მემკვიდრეობა, ტ. 5. ქუთაისი, 2001 წ. გვ. 67-73